ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №12 სხდომის

ო ქ მ ი

ქ. თბილისი 11. 04. 08

სხდომას თავმჯდომარეობდა: წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია.
სხდომის მდივანი: მარიამ ჩეკურიშვილი;

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომაზე მოწვეული იყვნენ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე-რექტორი, აკადემიური საბჭოს წევრები.

სხდომას ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 25 წევრი და აკადემიური საბჭოს 9 წევრი.
(დანართი 1)

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის ანგარიში.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ.

დღის წესრიგს მხარი დაუჭირა წარმომადგნლობითი საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა.

განხილვაში მონაწილეობისათვის კანონის თანახმად მოწვეულნი იყვნენ აკადემიური საბჭოს წევრები, თუმცა ისინი არ მონაწილეობდნენ კენჭისყრაში.

1. **მოისმინეს:**

საქართველოს კანონის – "უმაღლესი განათლების შესახებ" 24–ე მუხლის I ნაწილის "ვ" პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქალბატონი გულნაზი გალდავას ანგარიში 2007 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებმა. გაიმართა დისკუსია. მასში აგრეთვე მონაწილეობდნენ ფაკულტეტის დეკანები.

ა. **შენგელაია**: "მე მაინტერესებს გაიზრდება თუ არა სახელმწიფო დაფინანსება, სამომავლოდ არის თუ არა ასეთი პერსპექტივა? "

ბ **ბარამიძე**: „მე მინდა გამოვთქვა მადლიერება დღევანდელი ადმინისტრაციის მიმართ, რადგან წინა წელთან შედარებით თქვენს მიერ გაწეული მუშაობა იყო ეფექტური და ამას ყველა ხედავს"

ზ. დავითაშვილი:: "მე მაინტერესებს რა სირთულეები გქონდათ და თქვენ როგორ თვლით იყო თუ არა საკმარისი თქვენს მიერ გაწეული მუშაობა?"

დასმულ შეკითხვებს უპასუხეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზი გალდავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ შოთა მინდელმა.

საკითხის განხილვა შეაჯამა სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ლორიამ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის ანგარიში .(დანართი 2)

2. მოისმინეს:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქალბატონი გულნაზ გალდავას მოხსენება ,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა წარმოდგენილი ცვლილებებით . (დანართი 3)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე : 25

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — მარიამ ჩეკურიშვილი